

„კონსტიტუცია და დემოკრატია“
რეფერატი თემაზე „რელიგია და სახელმწიფო“

ლენე ქიშმარია

ქეთევან კვარაცხელია

სალომე მუმლაძე

ნინო ცანავა

რა არის რელიგია?

რელიგია ლათინურად ყურადღებას, მოწიწებას, თაყვანისცემას, სინდისიანობას, ღვთისმოსაობას, მორწმუნეობასნიშნავს.სიტყვა „რელიგია“ ლათინურ ზმნებს უკავშირდება - რელიგერე, რელიგარე, რეელიგერე, რომლებიც ერთმანეთს

ფორმითაც და მნიშვნელობითაც ენათესავებიან - შემოკრება, დაკავშირება, ხელახლა დაკავშირება, ხოლო გადატანით, მეორეული აზრით - ღვთისმოსაობა, თაყვანისცემა, კრძალულება. რელიგია როგორც ცხოვრების, აზროვნებისა და შემეცნების ფორმა, ზოგადად ასე განიმარტება: იგი არის ადამიანის გარეთ არსებული ძალების, ზებუნებრივი, ზეცნობიერი რეალობის რწმენა. იმის მიხედვით, თუ როგორია ეს რწმენა: რა სწამთ და როგორია ის სამყარო, რომელიც სწამთ; როგორია ფორმები, რითაც ამ სამყაროსთან ურთიერთობა მყარდება, ან ვინ ამყარებს ამ ურთიერთობას.

რელიგია არის ის, რაც მორწმუნეს „უზენაეს ჭეშმარიტებასთან“ აკავშირებს. რელიგიის დღემდე შემოთავაზებული განსაზღვრებების განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს რწმენა უზენაესის არსებობაში. მორწმუნენი ვალდებული არიან, შეასრულონ თავიანთი რელიგიით დადგენილი წესები. მათ ასევე ევალებათ თავიანთი რელიგიური მრწამსის გამოხატვა ღვთისმსახურების ან კულტის გარკვეული ფორმით. რონალდ ჯონსტონს მიაჩნია, რომ „რელიგია ეწოდება რწმენათა და რიტუალობათა სისტემას, რომელთა მეშვეობით ადამიანთა ჯგუფი ხსნის და რეაგირებს იმაზე, რასაც ზებუნებრივად და საკრალურად(წმინდად) მიიჩნევს.“

საიდან მოდის რელიგია? რა მიზანს ემსახურება იგი? ამ საკითხზე აქამდე ბევრი მოსაზრება გამოითქვა. იმისთვის რომ ამ კითხვებს პასუხი გავცეთ აუცილებელია გავიაზროთ რელიგიის მნიშვნელობა ადამიანისთვის და საზოგადოებისთვის. რელიგიური ადამიანი ცხოვრობს საკუთარი რწმენის და რელიგიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რაც იწვევს რელიგიური დანაწესების ჩართვას და მის განხორციელებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამგვარად რელიგია გარკვეულწილად და ხშირად სრულად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების წესს. ინდივიდი გაცნობიერებულად და ზოგჯერ გაუცნობიერებლად იღებს გადაწყვეტილებას მოიქცეს არა საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად არამედ იმ აღმსარებლობის მიერ დადგენილი წესების დაცვით, რომლისაც სწამს. მსჯელობით შესაძლოა პასუხი გავცეს კითხვას რა მიზანს ემსახურება რელიგია? რელიგია ასწავლის ადამიანებს, მორწმუნეებს თუ როგორ უნდა იცხოვრონ ისე რომ არ დაირღვეს უზენაესი ღირებულებები, უზენაესი ჭეშმარიტება.

მსოფლიოში ორასზე მეტი რელიგია არის ცნობილი, მათ შორის სამი ძირითადია : ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი.

მოკლედ შევხვით თითოეულს: **ბუდიზმი** ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიაა, რომელიც რამდენიმე ასეულ მორწმუნეს აერთიანებს. იგი ჩრდილო ინდოეთში ჩაისახა ძვ.წ VI-V საუკუნეებში. მისი დამაარსებელია სიდჰარტა გაუტამა (საკია მუნი). ბუდიზმის მთავარი არსი მდგომარეობს ბუდისტურ განმდრთოებაში რაც „ნირვანას“ სახელით არის ცნობილი.

ქრისტიანობა წარმოიშვა იუდაიზმის წიაღში ახ. წ. I საუკუნეში რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში - პალესტინაში. ქრისტიანობის მთავარი არსი გამომდინარეობს 10 მცნებიდან. განშტოებებია: კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, მართლმადიდებლობა, ანგლიკანიზმი.

ისლამი VII საუკუნეში წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე ჰიჯაზის მხარეში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა წუთისოფელში მშვიდად და უსაფრთხოდ იცხოვროს, იმისათვის, რომ საიქიო ცხოვრება გადაირჩინოს. განშტოებებია: სუნიზმი, შიიზმი.

ამას გარდა მსოფლიოში არსებობს სხვა რელიგიები, როგორებიცაა: ინდუიზმი, ჩინური რელიგიები, ბუდიზმი, ეთნიკური რელიგიები, ათეიზმი.

სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის მოდელები

პოლიტიკური სისტემა განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო და არასახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ ინტერესებს და უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. სადავოა ეკლესიის პოლიტიკური სისტემებისადმი მიკუთვნების საკითხი. სახელმწიფოში, სადაც სახელმწიფო რელიგია არსებობს, ეკლესიას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საერო სახელმწიფოში სადაც ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, რელიგიური ორგანიზაციები არ მიეკუთვნება პოლიტიკურ სისტემას. ეკლესიას საერო სახელმწიფოში არ შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური მიზნები.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის რამდენიმე მოდელი შეიძლება გამოვყოთ:

- 1) სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა
- 2) სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა
- 3) რელიგიური პრიორიტეტი
- 4) სახელმწიფო რელიგია.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა, რა თქმა უნდა არ ნიშნავს რწმენისა და აღმსარებლობის აკრძალვას, არამედ პირიქით რელიგიის თავისუფლებასა და რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს გულისხმობს. ამ მოდელის თვალსაჩინო წარმომადგენელია აშშ სადაც რელიგიურ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი ენიჭებათ. თავიანთ საქმიანობაში ისინი ყველასთვის სავალდებულო კანონებს ემორჩილებიან. კონსტიტუციიდან გამომდინარე, რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია ადგილობრივი კანონების მიღება, რომელთა მიხედვით რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა და განათლება მთლიანად თვითდაფინანსებასა და შემოწირულობებზეა დამოკიდებული.

სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა შუალედური მოდელია სახელმწიფო ეკლესიებსა და ეკლესიასა და სახელმწიფოს მკაფიო გამიჯვნას შორის. სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფა შეიძლება კონსტიტუციით იყოს გათვალისწინებული მაგრამ ამავე დროს, დაშვებულია ორივე ინსტიტუტის კოოპერაცია-გაერთიანება, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანზე ერთობლივი ზრუნვა არის საჭირო. კოოპერაციის მოდელი გვხვდება გერმანიაში, სადაც რელიგიური საზოგადოებები არიან საჯარო სამართლის კორპორაციები. ეკლესიის დამოუკიდებლობის პრინციპი მოქმედებს ისეთ სფეროში, როგორცაა ღვთისმეტყველება, ღვთისმსახურება, რელიგიური ჩვეულებები, საქველმოქმედო დახმარება, საეკლესიო წესდება ამ სფეროებში ეკლესიები საქმიანობას წარმართავენ თვითორგანიზებით და საკუთარი შეხედულებით. ყველა სხვა შემთხვევაში, ისინი სახელმწიფოში არსებულ სამართალს ექვემდებარებიან.

რელიგიური პრიორიტეტის მინიჭება ხდება ისეთ სახელმწიფოებში სადაც, ტრადიციული რელიგიები არსებობენ. სახელმწიფოს დადებული აქვს ეკლესიასთან ხელშეკრულება-კონკორდატი, რითაც ხდება რელიგიისთვის გარკვეული პრივილეგიების მინიჭება. ამ მოდელის ნათელი მაგალითია იტალია სადაც, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით სახელმწიფო და რელიგია თავიანთი წყობით დამოუკიდებელნი და სუვერენულნი არიან, კონკორდატის საფუძველზე განსაზღვრულია გარკვეული პრივილეგიები. მაგალითად: კონკორდატით განსაზღვრულია კათოლიკური ეკლესიის უფლებები, პაპებისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის სახით, გარკვეული სახის გადასახადის გადახდა და ა.შ.

სახელმწიფო რელიგიისთვის სტატუსის მინიჭება მეოთხე მოდელს წარმოადგენს, რომელიც კონსტიტუციითაა გარანტირებული, რაც გულისხმობს, რომ ისტორიული როლისა და ტრადიციების გათვალისწინებით, ესა თუ ის რელიგია სახელმწიფოს ნაწილი ხდება და მისი უშუალო მმართველობის სფეროში ექცევა. ეს მოდელი გვხვდება დიდ ბრიტანეთში, ფინეთში, დანიაში, საბერძნეთში.

რელიგიის როლი სახელმწიფოს შექმნაში

ქრისტიანობა IV საუკუნიდან მოყოლებული, გადამწყვეტ როლს თამაშობდა სახელმწიფოს ცხოვრებაში. თუმცა სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა ყოველთვის ჰარმონიული არ ყოფილა. მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ საქართველოს ისტორიიდან ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას უკავშირდება. დავით აღმაშენებელმა 1103 წელს მოიწვია კრება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები, მონაზვნები, კათალიკოსები, მეცნიერები და ბერები. ამ კრების მთავრი მიზანი იყო ეკლესია სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების სამსახურში ჩამდგარიყო, აღმოფხვრილიყო ის დარღვევები, რომლებიც ქართულ ეკლესიაში არსებობდა. ამაში იგულისხმება საეკლესიო ქონების განიავება, მცირეწლოვანთა ქორწინება და სხვა. საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ მკაცრად შეუტია მაშინდელი ეკლესიის მსახურებს. კრებამ მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება (რუის-ურბნისის ძეგლისწერა). ამ დადგენილებას კანონის ძალა ჰქონდა. დადგენილების ძალით გადააყენეს უღირსი მღვდელმთავრები და მათი ადგილი სამეფო ხელისუფლების ერთგულმა პირებმა დაიკავეს.

საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები ეხება ეკლესიის მსახურებს, დანაშაულებს, რომლებიც შეიძლება ჩაიდინოს როგორც ეკლესიის მსახურმა, ისე-ერისკაცმა:

- ძეგლისწერა გადაყენებულად აცხადებს უღირს მღვდელთმთავარს, მსახურს, რომელმაც სულისათვის ხორცი არ დათრგუნა;
- ეპისკოპოსი უნდა იყოს არანაკლებ ოცდათხუთმეტი წლისა, მღვდელი ოცდაათისა, დიაკვანი ოცდახუთისა, „წიგნისმკითხველი“ კი რვაწლისა. ხელდასმა უნდა ხდებოდეს ჯერ უმცროს თანამდებობებზე, შემდეგ კი თანდათანობით უფროსზე;
- ხელდასმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმინდელის განწესების მიხედვით;
- ძეგლისწერა კრძალავს ხელდასმას ქრთამით, ძღვენით;
- საეკლესიო ქონება, საჭურჭლე მხოლოდ დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს;
- ქორწინება, ნათლობა, მონაზვნად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით. გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო. ძეგლისწერა ორ ქორწინებაზე მეტს არ აღიარებდა;
- დაქორწინებისას ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლებ თორმეტიწლისა;
- კათალიკოსთაგან და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირჩნენ ისეთები, რომლებიც გათვითცნობიერებულები არიან საქრისტიანო წესებში, უანგაროდ ემსახურებიან ეკლესიის საქმეს;
- მოძღვართა სიმრავლე მონასტერში განხეთქილების მიზეზს შემოიღებს, ამიტომ მათი რიცხვი უნდა განისაზღვროს: დიდ მონასტერში დასაშვებია ორი მოძღვარი, ხოლო პატარაში — ერთიც საკმარისია;
- იკრძალება ეკლესიაში ერისკაცთა მიერ სამოქალაქო და სასოფლო სამსახური;
- განმარტებულია ვის მიერ, სად და როგორ უნდა სრულდებოდეს ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა;
- ძეგლისწერის მიხედვით, სომეხნი სარწმუნოებით მწვალებლებ იარიან და თუ სომეხი მართლმადიდებლობას აღიარებს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ ის ისეთი წესით უნდა მიიღოს, როგორი წესითაც წარმართს იღებს;
- იკრძალება მართლმადიდებლისა და წარმართის შეუღლება;
- აკრძალულია წარმომადგენლობითი ქორწინება (წარმომადგენლობითი ქორწინებისას, თუ შესაუღლებლები სხვადასხვა ადგილას არიან და მათი ერთად შეყრა ვერ ხერხდება, მაშინ გვირგვინის კურთხევის დროს საქმროს მაგიერ მისი წარმომადგენელი უნდა იყოს);

- ძეგლისწერა ეხება სოციალურ დანაშაულს, ე.ი. არაბუნებრივ სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას, ლესბოსელობას. დასახელებულია ცოდვები: მტრობა, შური, კაცისკვლა, მრუშობა, კერპთმსახურება, ცრუ-ფიცი.

რუის ურბნისის კრების შემდეგ ქართული ეკლესია სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ გადავიდა. რუის-ურბნისის ძეგლისწერა ნათლად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელიც მაშინდელ საქართველოში ეკლესიას ჰქონდა. ფაქტობრივად, ეკლესია იყო სახელმწიფოს ერთ-ერთი წამყვანი რგოლი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხებში. სწორედ ამიტომ არის, რომ ძეგლისწერას ჰქონდა კანონის ძალა და გარდა წმინდა საეკლესიო საკითხებისა, სამართლებრივად არეგულირებდა ქორწინებას, რომელსაც დღეს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს.

თამარის მეფობის ხანაში და შემდგომ პერიოდებშიც გვაქვს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირების მაგალითები. ეს დაპირისპირება კი ყოველთვის სახელმწიფოს საზიანოდ მთავრდებოდა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის პრინციპი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც გულისხმობს იმას, რომ კომუნისტური რეჟიმი უხეშად ერეოდა ეკლესიის საქმიანობაში და მის გაკონტროლებას ცდილობდა. ეკლესიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა, მრავალი სასულიერო პირი სწორედ ამგვარი ბრძოლის მსხვერპლი გახდა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია, თუმცა აღსანიშნავია მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი, სწორედ ამიტომ საქართველოს სახელმწიფოსა და ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის 2002 წელს გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი). კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიას, როგორც დამოუკიდებელ რელიგიურ ორგანიზაციას. კონსტიტუციური შეთანხმება განსაზღვრავს ეკლესიის უფლებებს განათლების, ქონებრივ, საქორწინო და კულტურის სფეროებში, იცავს აღსარების საიდუმლოს, ასევე აწესრიგებს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს.

მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას გაანდეს აღსარების დროს, სასულიერო პირი თავისუფალია სამხედრო ვალდებულებისგან, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაშვებულია მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის ნებაყოფლობით სწავლება, ეკლესიას სახელმწიფოსგან

ყოველწლიურად ერიცხება 25 მილიონი ლარი. გარდა ამისა, კონსტიტუციურ შეთანხმებაში არსებობს უამრავი პრივილეგია რაც მართლმადიდებლურ ეკლესიას სხვა რელიგიურ დაწესებულებებთან შედარებით ენიჭება.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა პერიოდში ეკლესიის როლი სახელმწიფოში არის განსხვავებული. თუ ადრე ეკლესიას საკმაოდ დიდი როლი ენიჭებოდა სახელმწიფო მმართველობის საქმეში, დღეს ეკლესიასა და სახელმწიფოს ფუნქციები მკაცრად გამიჯნულია. აღიარებულია ქრისტიანული რელიგიის განსაკუთრებული როლი საქართველოს სახელმწიფოსთვის, თუმცა იგი არ წარმოაგენს სახელმწიფო რელიგიას. საეკლესიო კანონები არ არეგულირებენ სამოქალაქო თუ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს. საეკლესიო კანონები მხოლოდ ეკლესიის ფარგლებში მოქმედებს, თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა საეკლესიო კანონებსა და ქვეყანაში მიღებულ კანონებს შორის. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ რელიგიას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა რომელიმე კონკრეტული რელიგიის წარმომადგენელია.

სეკულარიზმი

სიტყვა სეკულარიზაცია (ლათ. Saecularis) საეროს ნიშნავს. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანთა საქმიანობა დამყარებულია ფაქტებსა და რეალობაზე და დამოუკიდებელია რელიგიური რწმენისაგან, ეს ნიშნავს, რომ ის, რასაც ადამიანი აკეთებს და ყველა მისი საქმიანობა, რომელიც პირად სფეროს სცილდება არ უნდა განიცდიდეს რელიგიურ ზეგავლენას და დამოუკიდებელი იყოს მისგან. შესაბამისად სეკულარიზაციის პროცესში რელიგიური აზროვნება კარგავს საზოგადოებრივ გავლენასა და მნიშვნელობას.

კაცობრიობის განვითარების მანძილზე ადამიანებს ხშირად დევნიდნენ თავიანთი რელიგიისა თუ რწმენის გამო შუა საუკუნეებში სახელმწიფო მიიჩნევდა რომ რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე ადამიანთა დევნა სამართლიანი იყო და არ მოიაზრებდა იმას, რომ ეკლესიის თავისუფლება გულისხმობდა სინდისის თავისუფლებასაც. შესაბამისად, ასეთი სახელმწიფოები არც იმას მოიაზრებდნენ რომ თავისუფლების უფლება მოიცავდა რელიგიის თავისუფლების უფლებასაც. დროდადრო, ადამიანის განვითარების ნიადაგზე ნათელი გახდა რომ თითოეულ ადამიანს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, რომელსაც სხვა ვერ დაარღვევს ისევე როგორც თვითონ ვერ შეეხება სხვის უფლებას. აღნიშნული პრინციპიდან მოდის სწორედ გამოთქმაც რომ „შენი უფლება მთავრდება იქ სადაც

იწყება სხისი უფლება“. ამიტომაც ერთმანეთისგან გაიმიჯნა ადამიანის აღნიშნული პიროვნული უფლება რაც რწმენის საკითხებს შეეხება და სახელმწიფოს როგორც ცალკე ინსტიტუტის უფლება. ყოველივე ეს ქვეყნის მოქალაქეთა შორის ურთერთგაგებისა და თანამშრომლობის დამკვიდრებას უწყობს ხელს. იმისათვის რომ რელიგია და მსგავსი პირადული საკითხები არ იქცეს მოალაქეთა გამთიშველ ფაქტორად და ხელი შეუწყოს თანამშრომლობის განვითარებას.

სეკულარულ სახელმწიფოში არსებობს ეკლესია, რომელსაც თავისი ფუნქციები გააჩნია და მეორეს მხრივ არსებობს სახელმწიფო რომელიც არ ერევა რელიგიურ საქმიანობაში. იგულისხმება, რომ ასეთ სახელმწიფოში ეკლესია არ არის გაბატონებული ძალა, არამედ მისი მთავარი ფუნქციაა შეასრულოს მისთვის დაკისრებული როლი, ხოლო სახელმწიფო თავისუფალი უნდა იყოს რელიგიის ან ეკლესიის ზეგავლენისაგან. შედეგად, სახელმწიფოში სადაც, მისგან დამოუკიდებლად ხორციელდება რელიგიური საქმიანობა შეგვიძლია ვუწოდოთ საერო სახელმწიფო.

საერო სახელმწიფოში ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ნეიტრალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ იყენებს რელიგიურ საშუალებებს რომ მიაღწიოს პოლიტიკურ მიზნებს და პირიქით, არ იყენებს პოლიტიკურ საშუალებებს იმისათვის, რომ რელიგიური მიზნები ანახორციელოს. როდესაც, სეკულარიზაციაზე ვსაუბრობთ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო თავისუფალია რელიგიის ან ეკლესიის ზეგავლენისგან და პირიქით, დამოუკიდებელია ნებისმიერი რელიგიისა თუ რწმენის საკითხებისგან, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სახელმწიფო ვერ ჩაერევა მოქალაქის პირად რწმენის საკითხებში და პირიქით რელიგია ვერ გახდება საფუძველი სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის.

საქართველოში რწმენის თავისუფლება ქვეყნის ძირითადი კანონით, კონსტიტუციით არის დაცული, საქართველოს კანონმდებლობა და ნორმები მოქალაქეებს აძლევთ საშუალებას, რომ დაიცვან თავიანთი აღმსარებლობის უფლება, ამ მხრივ სეკულარიზმის პრინციპის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია ამ უფლებების განსახორციელებლად. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არის მულტი-ეთნიკური და მულტი-რელიგიური ქვეყანა, აქ აუცილებელია რომ თითოეულმა მოქალაქემ პატივი სცეს ერთმანეთის უფლებებს და სხვა რელიგიის წარმომადგენლებს. მსოფლიოში ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობისა და მათ შორის უფლებათაოსილებების გაიმიჯვნის მრავალი მოდელი არსებობს. აქ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას არეგულირებს კონსტიტუციური შეთანხმება, სადაც მოცემულია ყველა ის პრინციპი, რომელიც აწესრიგებს

ურთიერთობას სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. საქართველო საკუთარი ნებით გამოხატავს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მხარდაჭერას, რაც შეიძლება გამოიხატოს სიმბოლური, ფინანსური თუ სხვა სახით. დღეს სახეზე გვაქვს დასავლური მოდელი, რომელიც გულისხმობს რელიგიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას ურთიერთდამოუკიდებელი პრინციპების დაცვით ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ, რაც მოცემულია კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

თეოკრატია

რა არის სახელმწიფოს მმართველობა და რას გულისხმობს იგი?

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მმართველობის ფორმა გულისხმობს იმ შინაგანი ნიშნების ერთობლიობას რომელიც აჩვენებს, თუ ვის ეკუთვნის ხელისუფლება სახელმწიფოში და როგორაა მოწესრიგებული იგი, როგორ ხორციელდება ხელისუფლება და როგორია ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებათა ურთიერთდამოკიდებულება, სახელმწიფო მმართველობა ასევე გულისხმობს თუ როგორი ურთიერთმიმართებაა მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის და ხელისუფლების განხორციელების რა ფორმები არსებობს. სახელმწიფოები თავისი განვითარების ეტაპზე ყოელთვის განიცდიდა რელიგიასთან ურთიერთობის ცვლილებებს, ამიტომ აქტუალური გახდა სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. ამ თვალსაზრისით ამგვარ ურთიერთობათა სამართლებრივად მოწესრიგების სხვადასხვაგვარი მოდელები არსებობს.

სახელმწიფო მმართველობის სახეების მიხედვით არსებობს ავტორიტარული, ტოტალიტარული, დემოკრატიული მმართველობის ფორმები, თუმცა იქ, სადაც ადგილი აქვს რელიგიის გავლენას მომწესრიგებელ ნორმებზე, შეინიშნება თეოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ნიშნები.

ტერმინი თეოკრატია თავისი შინაარსით მბმანებლური ხასიათისაა, სიტყვა „კრატოს“ გამოხატავს ხელისუფლებას. თეოს“ ნიშნავს ღმერთს ხოლო „კრატოს“ მართვას ითარგმნება, როგორც ღმერთის ხელისუფლება. თეოკრატიულ სახელმწიფოებში ხელისუფლება რელიგიურ ლიდერებს უჭირავთ ხელში, თუმცა ეს არ არის მთავარი, რადგან აქ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უმაღლეს ადგილზე დგას

რელიგიური ნორმები, რომლებიც ყველასათვის სავალდებულოა შესასრულებლად. თეოკრატია ბენედიქტ სპინოზამ გაანმარტა, როგორც „სახელმწიფო, რომელშიც მოქალაქეები ემორჩილებიან ღმერთის მიერ აღმოჩენილ სამართალს“.

ამდენად, თეოკრატიულ სახელმწიფოში არსებულ ნებისმიერ რელიგიის ნორმებში, გამოხატულია ღვთიური ნება, ასეთ სახელმწიფოში მიღებული კანონები რელიგიური შინაარსის არიან, რის გამოც მათ შეიძლება ვუწოდოთ რელიგიურ-სამართლებრივი ნორმები, ეს რელიგიურ-სამართლებრივი ნორმები კი აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. თუ სახელმწიფოში დაწესებულია რელიგიურ-სამართლებრივი წესები და ქვეყნის მმართველებს რელიგიური ავტორიტეტი აქვთ მინიჭებული, მაშინ ასეთ სახელმწიფო უნდა იქნეს აღიარებული, როგორც თეოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოდ, თუმცა მხოლოდ ნიშნები არ გამოხატავენ სახელმწიფოს თეოკრატიულობას, თეოკრატიულობა ასევე განისაზღვრება სახელმწიფოში არსებული სკოლების, რელიგიური ორგანიზაციების, ეკლესიის ან სხვა სასულიერო დაწესებულებების ურთიერთობის ხასიათით.

თეოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოებში რელიგიური ნორმების გავრცელების ფონზე ამგვარი სახელმწიფოების მმართველობა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით : ცენტრალიზაცია, სახელმწიფო ლიდერთა შეუცვლელია, რელიგიური და საერო ხელისუფლების შერწყმა, ერთმმართველობა, რელიგიური კანონიერება, ხელისუფლების დანაწილების არარსებობა, ღვთიური სამართლის უზენაესობა, შეზღუდვა ქალებისათვის სახელმწიფო თანამდებობის დაკავების სფეროში.

თეოკრატიული სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია რელიგიური ლიდერების მიერ სახელმწიფოს მართვა, მათი მთავარი ფუნქცია რელიგიური ნორმების შემუშავებაა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ რეგულირდება რელიგიური შეხედულებებისა და მოძღვრების მიხედვით. ასეთი რელიგიური ორგანოები არსებობენ : ირანში- საზედამხედველო საბჭოს, საუდის არაბეთში- ულემთა უმაღლესი საბჭოს. ვატიკანში- ეპისკოპოსთა სინოდის სახით და ა.შ. მაგალითად ირანი, რომელიც თეოკრატიული სახელმწიფოა, კონსტიტუციით ადგენს, რომ სახელმწიფოში არსებული საზედამხედველო საბჭოს ყველა წევრი უნდა იყოს რელიგიურად ღრმად განსწავლული პიროვნება, ხოლო პრეზიდენტი შეიძლება იყოს, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირი. რაც შეეხება ამგვარი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, შეიძლება ითქვას რომ საკმაოდ მყარია. რელიგიური ქონება თეოკრატიულ სახელმწიფოში გადასახადებისაგან გათავისუფლებულია, ამასთანავე მოსახლეობის მიერ შემოწირული თანხა

წარმოადგენს რელიგიური ხელისუფლების ფინანსურ წყაროს. ამას გარდა მოსახლეობა ეწევა სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობას, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროა სახელმწიფო მმართველებისათვის.

დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც მასობრივი ინფორმაციების საშუალებები თავისუფალნი არიან და კონსტიტუციით არიან დაცულნი, თეოკრატიულ სახელმწიფოებში მასობრივი ინფორმაციების საშუალებები სახელმწიფოს ხელშია და მკაცრი შეზღუდვები არსებობს. კერძო ტელე და რადიომუშაველობის შექმნა უმეტეს შემთხვევებში დაუშვებელია. თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში არათუ იზღუდება მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა გავრცელება, არამედ ჟურნალისტობა ერთ-ერთ ყველაზე საშიშ პროფესიადაა მიჩნეული, ასეთი ვითარებაა მაგალითად, ერაყი, იემენი, სუდანი და ა.შ. არაბულ ქვეყნებში ხშირია ჟურნალისტებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები მაგალითად : ეგვიპტე, იემენი, პალესტინა და ა.შ.

თეოკრატიული მმართვეობის ფორმა ვრცელდება ისლამურ სახელმწიფოებზე, ამას საფუძვლად უდევს ის, რომ ყველა ისლამურ სახელმწიფოში ისლამი არის სახელმწიფო რელიგია. ამგვარი მმართველობის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მუსლიმური სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ისლამური რწმენის შენარჩუნება და შარიათის დაცვა, რომელიც მოიცავს რელიგიურ მოძღვრებასა და რელიგიურ ნორმებს. მაგალითად საუდის არაბეთში ისლამი წარმოადგენს ქვეყნის ძირითად კანონს. საუდის არაბეთის კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის რელიგია არის ისლამი, აქ „სახელმწიფო დგას ისლამური რწმენის სადარაჯოზე“ და სავალდებულოა ისლამური ნორმების შესრულება, თუმცა განსხვავებით არაბეთის ქვეყნებისგან, სადაც რელიგიად აღიარებულია ისლამი ამ ქვეყნებში რელიგია გამოცხადებულია თავისუფალ რელიგიად. (კატარი, ქუვეითი, მაროკო და ა.შ.)

ისლამური კონსტიტუციების მთავარი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებამ უნდა დაიცვას „შურის პრინციპი“- რაც გულისხმობს მოლაპარაკებასა და თათბირს. ეს ნიშნავს, რომ საერთო თათბირის შედეგად უნდა იქნეს მიღებული ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილება. გარდა იმისა, რომ ისლამის კონსტიტუცია სხვა კონსტიტუციების მსგავსად შეიცავს საკუთრების უფლებასა და სხვა სოციალურ უფლებებს მის გარდა ასევე არსებობს ისლამური ადათ-წესები, რომლებიც სახელმწიფოს მართვისა და ფუნქციონირებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ისლამის კონსტიტუციაზე მაღალ ადგილს იკავებს.

ისლამურ სახელმწიფოებში სამართლიანობა ხორციელდება შარიათის წესების დაცვით, ამგვარ სახელმწიფოში სამოქალაქო საოგადოების შექმნის მიზანი არ არსებობს, არამედ ასეთი სახელმწიფო ცდილობს კეთილმორწმუნე გახადოს ადამიანები. ამ თვალსაზრისით ისლამი მოწადინებულია ადამიანი სულიერი ღირებულებების მოპოვებისკენ მომართოს რათა ადამიანი ღვთისმოსავ ადამიანად ჩამოყალიბდეს, ეს ყველაფერი კი არის საფუძველი იმისა, რომ ისლამის სახელმწიფოს მთავარი მიზანი რელიგიის ნორმების დაცვა და ცხოვრებაში გატარებაა. ისეთი თეოკრატიული სახელმწიფოები, როგორებიცაა : კატარი, ომანი, ბაჰრეინი, საუდის არაბეთი ხასიათდებიან იმით, რომ ისინი მონარქიული მმართველობის ქვეყნები არიან და ქვეყნის მეთაურებს თავად აკისრიათ რელიგიური ფუნქცია, რაც ნიშნავს იმას, რომ რელიგიური ნორმების გატარება და საზოგადოებაში გავრცელება სახელმწიფოს მეთაურების მოვალეობაა.

არსებობს თეოკრატიული მონარქიის ისლამური სახელმწიფოები და თეოკრატიული რესპუბლიკის ისლამური სახელმწიფოები. თეოკრატიული მონარქიის დროს ქვეყნის მართვაში განსაკუთრებული როლი ეიჭება რელიგიურ ინსტიტუტებს (საუდის არაბეთი, ვატიკანი). რაც შეეხება თეოკრატიული რესპუბლიკის ისლამურ ქვეყნებს, აქ, ისლამი წარმოადგენს ქვეყნის მმართველობის მნიშვნელოვან საფუძველს. ამ დროს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს ისლამის რელიგიის აღმსარებელი და მან „ალაჰის სახელით“ უნდა დადოს ფიცი. (ირანის ისლამური რესპუბლიკა).